№ 157

კვირა, 24 ივლისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 157

კვირა, 24 ივლისი 1894

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთი დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია"

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის" რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

საზაფხულო ახალი თეატრი

„ფანტაზია"

კვირას, 24 ივლისს, ქართულს ენაზედ

წარმოდგენილი იქმნება

I

**არსენა**

დრ. 3 მოქ. ა. ყაზბეგისა

II

**დატრიალდა ჯარა**

ვოდ. 1 მოქმ.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი რჩეულოვისა, იოსებიძისა (პირველი დებიუტი), ბ-ნნი აღამიძე, მჭედლიშვილი, საფაროვი, ხარაზოვი, ნასიძე და სხვანი.

ანტრაქტებში დაუკრავს ცეცხლის მქრობელ რაზმის მუსიკის ხორო.

დასაწყისი 8½ საათზედ

## ტფილისი, 24 ივლისს

წარსულს წერილში ჩვენ გამოვსთქვით ის აზრი, რომ შესაძლებელია ჩინეთსა და იაპონიას შორის ატეხილმა დავამ კორეს სამეფოს შესახებ ნაპერწკალი აღმოსავლეთიდან დასავლეთშიც გადმოიტანოსო. ჯერ-ჯერობით ეს ეჭვი, თუმცა არ გამართლებულა, მაგრამ მრავალი საბუთი არის იმისა, რომ ომი ადვილად შესაძლებელია ევროპის სახელმწიფოთა შორისაც ასტყდეს ამ შორეულ სამეფოს გამო.

გაზეთებიდან ნათლად სჩანს, რომ ევროპა და ამერიკა გაფაციცებით შეჰყურებენ ჩინელ-იაპონელთა დავას და ჰგზავნიან თავის სამხედრო ხომალდებს. რუსეთის გაზეთები-კი გულახდილად ამბობენ, რომ კორეს დაჭერა ყველაზედ უფრო რუსეთს ეუფლება, რადგან წყნარ ოკეანესკენ საჭიროა გაიჩინოს თავისუფალი და მოხერხებული გზა. რაც დღე მიდის, ეს აზრი სულ უფრო და უფრო ედგება რუსის საზოგადოებას და უეჭველია ამ გვარს საერთო სურვილს რაიმე საფუძველი უნდა ჰქონდეს, რაიმე მიზეზი, რომლის სათავეც უმაღლესს წრეებში უნდა იფარებოდეს.

რუსეთისთვის, რასაკვირველია, დიდად საჭიროა, რომ თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდეს ზღვებში. მაგრამ ჯერ-ჯერობით ყოველი მეცადინეობა ამ მხრით ამაოდ დარჩენილა. რუსეთის სამხედრო ძალა ომის დროს ყოველთვის დაკეტილი რჩება შავსა და ბალტის ზღვებში, რადგანც თავისუფალი გზა აღარა აქვს არც ატლანტიდის ოკეანესა და არც ხმელთაშუა ზღვისაკენ. მთელი ზღვის ძალა, რომელზედაც ამოდენი ფული ეხარჯება რუსეთის სახელმწიფოს, მოუხმარებლად, სახლშივე რჩება. ამიტომ რუსეთისთვის ისეთის ზღვის პირის ადგილის შოვნა, საიდანაც თავისუფლად შეეძლება ზღვებში სიარული, დიდად საჭიროა და ასეთ სანატრელ ადგილად უნდა ჩაითვალოს კორეს სამეფო, რომელიც აკრავს იაპონიის ზღვას.

ამ გვარი საშოვარი მით უფრო საწადელი იქნება რუსის დიპლომატიისთვის, რომ ახლა ციმბირის რკინის გზა კეთდება და რუსეთის ნაწარმოების გადაზიდვა შესაძლებელი იქნება აქედან მთელს ცას ქვეშეთში.

მაგრამ დაბრკოლება ასეთის საშოვრის შესაძენად რუსეთს უთუოდ მრავალი შეხვდება და პირველი დაბრკოლება, რომელიც მან უნდა გადათელოს იქნება ინგლისი, რომელიც დღემდე მბრძანებელია ყველა ზღვებისა და რომლის ურიცხვ სავაჭრო ხომალდებს დააქვთ ინგლისის საქონელი ქვეყნის ყოველ კუთხეში.

თუ პოლიტიკური დამოკიდებულება რუსეთისა სხვა სახელმწიფოებთან ამ ჟამად ისეთია, რომ რუსეთს შეეძლება კორეს დაჭერა, ისე რომ ამ მოქმედებამ არ გამოიწვიოს შეერთებულ ევროპის წინააღმდეგობა, მაშინ უეჭველია ამ სადაო სამეფოს რუსის ჯარი დაიჭერს.

მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რომ რუსეთმა არც ევროპის მტრობას შეუშინდეს, მაშინ როდესაც გვერდით მოკავშირე ძლიერი საფრანგეთის რესპუბლიკა ჰყავს... ამისი მაგალითი გვქონდა ჩვენ ყირიმის ომის დროს და ამ გვარივე ამბავი შესაძლებელია დღესაც.

თუმცა რუსეთი ყირიმის ომში დამარცხდა, მაგრამ გამბედაობა მაინც არ დაჰკლებია. შესაძლებელია ასე დატრიალდეს ეს საქმე ახლაც, და იმ დიდის განზრახვის შესრულებისათვის, რომ უზრუნველად შეიძლოს ოკეანეში გამოსვლა ომს არ მოერიდოს და კორეს სამეფო დაიჭიროს თავისის ჯარებით.

W.

## დეპეშა

21 ივლისი

**პეტერბურგი.** ჯვარის წერა დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა და დიდი მთავარის ალექსანდრე მიხეილის ძისა დანიშნულია პეტერგოფის დიდს სასახლეში 25 ივლისს; იმავე დღეს საღამოს სადღესასწაულო სადილი და სამუსიკო კრება იქნება; შემდეგ უმაღლესნი ნეფე-დედოფალნი წავლენ დროებით როპშაში; 28 ივლისს მიმლოცველებს ინახულებენ საზამთრო სასახლეში, ხოლო საღამოზედ სადღესასწაულო წარმოდგენა იქმნება პეტერგოფის თეატრში.

ნაბრძანებია, რომ სასახლეში მგლოვიარობა დიდის მთავრინა ეკატერინე მიხეილის ასულის გარდაცვალების გამო გათავებულ იქმნას 24 ივლისს.

1895 წლის 15 თებერვალს პეტერბურგში დაიწყება სრულის რუსეთის ბეჭდვის საქმის გამოფენა.—

დანიშნულ იქმნენ: საკრედიტო კანცელარიის დირექტორი პლესკე—სახელმწიფო ბანკის მმართველად ჟუკოვსკის ნაცვლად; ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის წევრი მალეშევსკი პლესკეს ადგილზედ, ხოლო ჟუკოვსკი-კი—ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრად.

**ლონდონი.** დიდ-ბრიტანიის მთავრობა დაუყოვნებლად განაცხადებს, რომ კორეს ომში არ გაერევიო, და ჯეროვან ღონისძიებას მიიღებს თავის ინტერესების დასაცველად.

22 ივლისი

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა მოიწონა კერძო რკინის გზების წარმომადგენელთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნა ყველა რკინის გზაზედ ყმაწვილების სატარებელი ფასი და ერთი მეოთხედი და გამოერთვათო.

**კოპენჰაგენი** (?). ჩინეთის ჩრდილოეთის ესკადრა, 13 ხომალდისაგან შემდგარი, ჩეფუდგან კორეში გადავიდა; ზღვაზედ ბრძოლას მოელიან.

**პარიჟი.** ლიონში დაიწყეს კაზერიოს საქმის გარჩევა. დილის 5 საათზედ კაზერიო გადაიყვანეს საპატიმროდგან სასამართლოს შენობაში, რომელსაც მთელი რაზმი ქვეითა ჯარი ერტყა. არავითარი შემთხვევა არა მომხდარა-რა. სასამართლოს შესავალთან საზოგადოება ცოტაა თავმოყრილი და მშვიდობიანადა სდგას; სასამართლოს დარბაზი ხალხით არის სავსე; უბილეთოდ არავის აძლევენ შიგ შესვლის ნებას. საქმის განხილვა სასამართლომ დილის 10 საათზედ დაიწყო. ლაპარაკის დაწყებისას კაზერიო ზრდილობიანად უგებდა პასუხს. როდესაც წაკითხული იქმნა საბრალმდებლო ოქმი, რომელიც ხალს არაფერს შეიცავს, თავმჯდომარემ დაუწყო კაზერიოს ჩვენების ჩამორთმევა. პრეზიდენტი ამბობდა, რომ კაზერიო უეჭველია დამნაშავედ უნდა იქმნას ცნობილიო. კაზერიო გარდაწყვეტით ამბობს, რომ მე სრული პასუხის მგებელი უნდა გამხადოთ ამ საქციელისა, არასოდეს ავად არა ვყოფილვარ და არც არავინა ყოფილა ჩვენს გვარეულობაში სულით ავადმყოფიო. შემდეგ პრეზიდენტმა კაზერიოს ლაპარაკი ჩამოუგდო იმის უწინდელ ცხოვრების შესახებ; სხვათა შორის ბევრი რამ გა-

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

რამდენი ჭირი მინახავ,
რამდენი მავაგლახია,
მაგრამ არც ერთხელ არ მითქვამ:
ჰოი, ესეც ჩემთვის ახია.
არ გატყდა გული რკინისა,
ვერა სძლევს სულთქმა ვახია,
ჭირთაგან გატინებულმა
სიკვდილიც შუა გახია!

დ. მაჩხანელი

### «ქრისტე აღსდგა!»

პოემა პროზად ვასილ ველიჩკოსი

(თარგმანი უძღვნის ა. ს. ხახანაშვილს)

I

გაზაფხულია. აჭარის მთების ფერდოები მშვენივრად მწვანად ბიბინებს. ჰაერი შეზავებულია აყვავებულ ხეხილის: ვაშლისა, ალუბლისა, ზეთისხილისა და ბროწეულის კეთილსუნელოვანებით. მხოლოდ მთის მწვერვალებიდგან ჯერ კიდევ არ ჩამომდნარა თოვლი. მრავალი ნაკადული გაშმაგებით გადმოსჩქეფს მთის კალთებიდგან და ვიწრო კალაპოტში მიჯახ-მოჯახების შემდეგ ერთვის აჭარის ჩანჩქარასა და ქაფიანს წყალს. ბულბულთა სტვენა დღე-და-ღამ განუწყვეტელია. თეთრ-თავა არწივები წრე-შემოვლებით დასცურავენ ცის სივრცეში; ოქროს ფერი ხოხბები, როგორც ორბნი, ამოფრინდებიან ხოლმე ჭაობებიდგან და იტრუსებიან მეწამულ დილის მზის სხივებზედ... ყველა ჰხარობს და სულს იბრუნებს განახლებულის ბუნებით, ახალის ცხოვრებითა და ბედნიერებით...

არ უხარიან მხოლოდ აჭარის მხედართ-მთავარს, იბრაჰიმ-ბეგს შერვაშიძეს. იგი ახალგაზდაა, ლამაზი და მდიდარი. აუარებელი ცხვრისა და თხის ფარა ჰყავს, ცხენები სხვა-და-სხვა ჯიშისა: ყაბარდოისა, ყარაბაღისა და ანატოლიისა. იმის ჯორ-სახედარი განთქმულია გონებითა და ფეხის სიმაგრით: თუმცა-ღა ხუმრობით, მაგრამ მაინც ტყუილად-კი არ არის ნათქვამი, რომ თითოეულს ამათგანს ადვილად შეეძლო ასულიყო და ოთხივე ჩლიქებით დამდგარიყო ოსმალურ ხანჯლის წვერზეო. იმისი მონა-წულნი მშვენივრად ჰქსოვენ თოვლსავით თეთრ შალებსა და აბრეშუმის მსუბუქ ყელსახვევებს, რომელიც სომხის ვაჭრებთ რომ ენახათ, შეყვარებულსავით ამოიოხრებდნენ,—შორიდგანაც-კი მოდიან ნავებით ბათუმში ამ ქსოვილების სანახავად. ხალიჩებზე, რომელიც იბრაჰიმ-ბეგის ციხე-დარბაზის კედლებზეა გაკრული, ჰკიდია ძვირფასი იარაღები. ამ იარაღთა შორის ურევია ერთი ხმალი, რომლის ტარი და ქარქაში სულ ალმასებითა და ზურმუხტებით არის შემკული. ეს ხმალი ნაჩუქარია სულთანის მიერ, რომელთანაც ერთად მიილო მოვარაყებული ყვავილებიანი ქების სიგელი. სულთანს ძალიან უყვარს იბრაჰიმ-ბეგი და პატივსა სცემს იმის სიმამაცეს. ქების სიგელში აქვს მოხსენებული, რომ იბრაჰიმ-ბეგი ფოლადის წვერია მაჰმადის ლახვრისაო, გაწვდილი ჩრდილოეთისაკენ ურწმუნოთა მიმართო; ალმასის ფრთაა ფადიშაჰის კურთხეულ თიურბანისაო*); ცისკრის ვარსკვლავია ჭეშმარიტის სარწმუნოებისა გზა-დაკარგულთათვისაო"... ტრაპიზონის ფაშა, სიშურისაგან ყვავილით ავად გახდა, როცა ამბავი მიუტანეს, რომ იბრაჰიმ-ბეგს სულთანისაგან ქების სიგელი მოსვლიაო...

II

ყველა ეს მინიჭებული ბედნიერება და სიხიარულე არაფრად მიაჩნდა ბეგს იმ ბედნიერებასთან, რომ იგი მფლობელი იყო გურიის თავადის მშვენიერ ასულის ქალის ნინოსი. იმისი უკუნეთივით შავი თვალები ხან ილრუბლება, ხან ელვარებს ალმასისებურ ცეცხლით, რომლითაც იმდენ ბედნიერს დღეებს უქადის ადამიანს, რამდენიც ვარსკვლავია ცაზედ. მარმარილოსებურს გულ-მკერდზე ისეა დაფენილი მისი სქელი, მწიფე ხორბლის ფერი, ხუჭუჭი თმა, როგორც ფერდობზე დათესილი, ქარისაგან აბიბინებული სამკალი ყანა; როგორც ნაკადული, შუადღის მზისაგან გაოქროსფერებული!.. ტანადობა და ქცევა დედოფლისა აქვს. შავი დახრილი წარბები ამპარტავნულად შეჰმუხვნია, როგორც შესანიშნავს დედოფალს, დიდებულს თამარს. ეს წარბების შეჰმუხვნა გულს უკლავს იბრაჰიმ-ბეგს. თუმცა ბევრს ელერსა, ბევრს ესიყვარულა, მაგრამ სულ უბრალოდ, ნინოს შეჰმუხვნილს წარბებს მხიარულება არ ეკარება... იბრაჰიმ-ბეგმა მაშინ მოიტაცა იგი, როდესაც გურიას თავს დაეცა და დაამარცხა

*) თიურბანი—მუსულმანთა თავ-მოსახვევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკითხა იმის გამო, რა დამოკიდებულება გქონდა იტალიისა და საფრანგეთის ანარხისტებთანაო; ბრალდებული აღიარებს, რა დამოკიდებულებაცა ჰქონია ანარხისტებთან და რა საანარხისტო აზრ-რწმენისაა. მისის სიტყვებისა გამო მსმენელნი დიდად აღშფოთებულნი არიან. კაზერიო უარს ამბობს, ჩემს ამხანაგებს ვერ დავასახელებ, მოუთხრობს ამბავს თავის ლიონში მისვლისას და გულგრილად ამბობს, როგორ მოკლა კარნო; როდესაც ვუახლოვდებოდი კარნოს, იმან თვალები დამაშტერა და ძლიერება ამ ცქერისა კარგად ვიგრძენ, როდესაც ხანჯალსა ვცემდი. მერე განაცხადა კაზერიომ, რომ ჩემს თავს ანარხისტად აღვიარებ, ბურჟუაზია და მმართველები მძულან და მე არც უფროსები მყვანან და არც თანამოზიარენიო. „მე ჩემის სურვილისამებრ მარტო ვმოქმედობდი და როგორც ჯარის-კაცი, არაფერს გავექცევი, ყველაფერზედ მზადა ვარო“. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ, მარტო სახელმწიფოს მეთაური-კი არა, არამედ ამასთან ერთად პატიოსანი და ოჯახის პატრონი მოჰკალიო; კაზერიომ მიუგო, კარნოცა ჰკლავდა ანარხისტებს, რომელნიც იმასავით, მაგალითებრ, ვალიანი, ოჯახის პატრონები იყვნენ. ამითი დამთავრდა ჩვენების ჩამორთმევა კაზერიოსაგან, რომლის ურცხვობითაც მსმენელნი დიდად აღშფოთებულნი არიან.

# ახალი ამბავი

*** ქალაქის მმართველობაში ორშაბათს, ამ თვის 25, დანიშნულია კრება იმ კომისიისა, რომელიც ქალაქის საბჭომ ამოირჩია გამოსარკვევად იმისა, თუ როგორ უნდა იდღესასწაულოს ქალაქმა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის ქორწინება, რომელიც ამ შემოდგომას იქნება.

*** იმავე ქალაქის მმართველობაში სამშაბათს 26 ივლისს დანიშნულია კრება საბჭოს-მიერ ამორჩეულ კომისიისა გამოსარკვევად და შესადგენად იმ საქმეებისა, რომელიც ქალაქის მმართველობამ უნდა წარუდგინოს სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის მინისტრის, რომელსაც ამ ახლოს ხანში ტფილისში მოელიან.

*** ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა გორის საზოგადო მმართველობის არჩევანი.

*** ტფილისის სამხედრო ბეგარის საკრებულო შეუდგა იმ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა შემოწმებას, რომელნიც ამ წელს კენჭის ყრით ჯარში უნდა იყვნენ გაწვეულნი.

*** კუკიის ხიდის შეკეთება ლ ქუთათურის ქვით დაფენა ქალაქს ათას თუმნამდე უჯდება. ამ ხარჯის ნახევარი ცხენის რკინის გზის საზოგადოებამ უნდა იკისროს და ამ გვარად ქალაქი ამ ხიდზედ ჰხარჯავს ხუთას თუმანს ამავე დროს, რადგანაც ეტლები კუკიის ხიდზე აღარ დაიარებიან და მიდიან ვერის ხიდზე, სადაც გასავლელად ერთს შაურს ახდევინებენ ეტლზე. ვერის ხიდმა ამ ერთის თვის განმავლობაში 3500 მან. მეტი შემოსავალი მისცა ქალაქს ვიდრე აქამდე აძლევდა და ამგვარად სანამ მიხეილის ხიდის შეკეთებას დაასრულებენ ვერის ხიდიდგან ქალაქის კასსაში 6000 მანეთი მეტი შემოვა ისე, რომ ქალაქს კუკიის ხიდის შეკეთება და ქვით დაფენაზე არაფერი არ ეხარჯება.

*** გუშინ-წინ, 22 ივლისს, ფოსტა-ხალხის მატარებელი, რომელიც ნაშუადღევს წავიდა ტფილისიდგან ბაქოში, 23 ივლისს, გათენებისას ლიანდაგს გადასცდენია, გადავარდნილა და ფოსტის ვაგონი დამსხვრეულა კარასუს სადგურზედ. როგორც გვითხრეს ორი ფოსტის მოხელე: ნაზაროვი და ქორქაშვილი დაშავებულან, თავები გასტეხიათ ორივეს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი დ. ს. ს. ინჟენერი ფრიდე ჩამოვიდა პეტერბურგიდგან, სადაც სამსახურის საქმეთა გამო იყო წასული, და 21 ივლისს უკვე შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

*** ძეგვის ხიდზედ, რომელიც სადგურ მცხეთის სიახლოვეს არის, ორის ორთქლ-მავალის ერთად გავლა აღკრძალულია. ამიტომაც, როდესაც დატვირთულ ვაგონებს ორი ორთქლმავალი უბია, ხიდზედ ასვლის უმალ შეხსნიან ხოლმე ერთმანეთს კონდუქტორები და ისე გაატარებენ. ამას წინად ამ ხიდზედ ერთი უბედურება მოხდა. კონდუქტორი ნოვაკი, როდესაც, დავალებისამებრ, ორ ორთქლმავალს ერთმანეთს აშორებდა, ჩავარდა შიგ და უკანა ორთქლ-მავალმა გასრისა იგი სრულიად. ნოვაკს წვრილი ცოლ-შვილი დარჩა, სრულიად ულუკმა-პუროდ. ამ რამდენისამე დღის წინად რკინის გზის ზოგიერთა მოხელეებმა შეჰკრიფეს რამდენიმე მანეთი და გადასცეს განსვენებულის ცოლ-შვილს.

*** ნავთლუღი. 22 ივლისს, ღამის 12 საათსა და 40 წუთზედ, როდესაც ბაქოდგან მატარებელი მოდიოდა, უცბად ქვეშ მოჰყვა მეისრე, გორის მაზრის დ. სურამის მცხოვრებელი გლეხი სოლომონ როსტომის ძე ჩუდანელი და მატარებელმა ორივე ფეხი მოაგდებინა თეძოებშივე. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** აჯიქაბული. 22 ივლისს, ნაშუადღევის ორს საათზე, სადგურ აჯიქაბულის ვაგონების გადამბმელმა პეტროვმა, რომელიც აქსტაფაში თავის ძმასთან იყო სტუმრად, უცაბედად რევოლვერი გაისროლა და თავის ცოლს მოახვედრა. ტყვია გულში მოხვდა, ადგილობრივმა ექიმმა საჭირო შემწეობა აღმოუჩინა დაჭრილს და შემდეგ ავადმყოფი ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გამოჰგზავნეს.

*** ზუგდიდი: ჩვენში აბრეშუმის ჭიამ გვარიანი მოსავალი გვარგუნა. ათი წელიწადია, რაც ასეთი უხვი მოსავალი არ უნახავთ ჩვენს ქალებს. თესლი მივიღეთ ნ—ორ ჭედიასაგან, რომელიც იძლეოდა ბერძნის თანხიდგან უფასოდ, მხოლოდ მოსავალი პარკად უნდა მიეყიდნათ დამრიგებელზე. ამ დარიგებულ თესლის მეთვალყურეთ იყო დანიშნული სხიანი, რომელიც ყოველ ორ კვირაში ერთხელ დადიოდა თესლის მომვლელებთან დარიგების მისაცემად. მართლაც, როგორც ზემოდა ვსთქვით, კარგი მოსავალი გამოუვიდა აბრეშუმს და ქალები სიხარულით ფეხზედ აღარ იდგნენ. მართალი გითხრათ ბ-ნი ჭედია პატიოსნადაც მოექცა თავის მიერ დარიგებულ აბრეშუმის თესლის მომვლელთ: ერთი კაპეიკი არ დაუკლია. თუ ასე გასტანა შემდეგშიაც აბრეშუმის მოსავალმა, დარწმუნებული ვარ, რომ უფრო ბეჯითად მიჰყოფენ ხელს ჩვენი ქალები აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენებას.

*** ცხინვალი: საქონლის ჭირს ზედ თურქულიც დაერთო და საქონელი წელში ოთხად მოხარა. აღარ იციან რა ჰქმნან საცოდავებმა, მით უფრო, რომ ამ უკვდავება მოსავალს მინდორში ცას ქვეშ შეჰყურებენ. მკა დაიწყო.

*** რაჭა: რაჭამ სრულიად ფერი იცვალა ახალის მაზრის უფროსის წყალობით. ყველგან შეუდგნენ გზების კეთებას. სადაც ეს ათი წელიწადია არ დაჰკვრია თოხი, იქ დღეს მშვენიერი სასოფლო გზაა გაყვანილი. დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე აქაურს სკოლებს. ჯერ-ჯერობით ბევრი კარგი საქმეები გამოიწყო, მაგალითებრ: სამეურნეო განყოფილებების დაარსება სკოლებთან, სამკითხველო დაბა ონში და სხ. ვისურვებთ, რომ ამ კეთილს საქმეებს არავითარი დაბრკოლება არ გადაღობებოდეს წინ. რამდენადაც შევნიშნეთ, ბ-ნი მაზრის უფროსი ზ. ყიფიანი მხნე, გამბედავი და მარჯვე კაცი უნდა იყოს.

რაჭაში მოსავალს კარგი პირი უჩანს. პური კარგი მოგვივიდა. ვენახს მშვენივრად ასხია, მეტადრე სადაც ნაწამლია. ამ თვის დასაწყისიდგან სიცხეებმა და გვალვამ მეტად შეგვიწუხა სიმინდები. მაგრამ 18-ს ამ თვეს მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა გვესტუმრა და გამოაცოცხლა დამჭკნარი მცენარეობა.

*** მიხეილის ხიდის ორივ მხრის ტროტუარების კეთება გაათავეს, ეხლა მხოლოდ თითონ ხიდს აგებენ ქვით. როგორც ჰფიქრობენ ამ ერთის კვირის შემდეგ უნდა გათავდეს დიდის ხიდის კეთება. რაკი სულ დამთავრდება მუშაობა, მაშინ ნება მიეცემათ ეტლებს და ცხენის რკინის გზის ვაგონებს სიარულისა პატარა ხიდამდის, შემდეგ პატარა ხიდის კეთებას შეუდგებიან და როგორც ნათქვამია, ორს კვირაზედ გაათავებენ, მანამდის-კი ერევნის მეიდნიდგან მოსიარულე ცხენის რკინის გზის ვაგონები მხოლოდ ,,ლონდონის“ სასტუმრომდინ ივლიან. («Кавк.»).

*** ,,Рус. Жизнь“-ი ამბობს, რომ უმაღლესის განკარგულებით ამიერიდგან ვიცე გუბერნატორები ამიერ-კავკასიის საგუბერნიო საგლეხო და სასოფლო საქმეთა საკრებულოების წევრებად უნდა იყვნენ.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ პეტრე რაზუმოვის აკადემიის ნაცვლად დაარსებულს, ახალს მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში შესვლის მსურველთა თხოვნის მიღება დაიწყეს ამა 20 ივლისიდგანაო.

*** 21 ივლისს გრიბოედოვის ქუჩაზედ ათის წლის შვილი ივანე ივანაშვილისა წაეჩხუბა ტფილისის მცხოვრებელის შვილს 8 წლის არშაკ ნონიკოვს და დანით მსუბუქად გვერდში დასჭრა, დამნაშავე შეიპყრეს. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 22 ივლისს სოფ თაქლის მცხოვრებელს ალი-მირზა-ოღლის მტკვარში მობანავე კამეჩის გამოყვანა უნდოდა, წყალმა მოიტაცა და დაირჩო.

# დამაკვირდი

ჭკვიანია, ვინც კაი დროს მოდის, მაგრამ ის უფრო ჭკვიანია, ვინც კარგს დროს მიდის.

ჰეიშელი

**

რა სასწაულ-მომქმედი ხარ გაჭირვებავ! უბრალო რამესაც-კი ფას-დაუდებლად გარდაჰქმნი ხოლმე.

შექსპირი

**

სიამოვნებით კაღვიარებთ და გამოვამჟღავნებთ ხოლმე ჩვენს უმნიშვნელო ნაკლულევანებას, რომ ამითი ისა ვსთქვათ, სხვაფრივ-კი უთვლად სრულნი და უნაკლულონი ვართო.

ლაროშფუკო

## კორესპონდენცია

დ. კავთის-ხევი. 14 ივლისს ასე ნასადილევის 2 საათი იქმნებოდა, ცა საშინლად მოიღრუბლა დასავლეთ ჩრდილოეთის მხრივ. უფრო განსაკუთრებული ყურადღება ხალხისა მიიქცია ერთმა ღრუბელმა. ტყვიის ფრად შეკუმშული თანდათან უახლოვდებოდა ჩვენს მხარეს. გავიდა ნახე-

---

მფლობელი მთავარი, ბიძა ნინოსი; ამ უკანასკნელს გულში უხაროდა კიდეც, რომ სიყვარულით მოხიბლული იბრაჰიმ-ბეგი, ნინოს მოტაცების შემდეგ არ გამოუდგებოდა სხვა საშოვარს და ქვეყანას მოასვენებდა.

თავადის ასულმა უთხრა ბეგს:

— სულის ძალად ამორთმევა არ შეიძლებაო!..

ამას შემდეგ შეიჭმუხვნა შავი წარბები და აღარ გაუშლია... იბრაჰიმ-ბეგი სალოცავად უნდა წასულიყო მექაში, რომ საპატიო სახელი „ჰაჯისა“ მიეღო, მაგრამ აღარ წავიდა. სამი ცოლი ჰყავდა, სამივე დიდის შთამომავლობისანი, რომელნიც ძვირფასის საჩუქრებით გაისტუმრა სახლიდგან, იმიტომ რომ, მთელი თავისი სიყვარული მეოთხე ცოლისათვის, თავადის ასულის ნინოსათვის შეეწირა. ნინო მშვიდი და მორჩილი იყო, მაგრამ მწუხარე ლ გულ-ცივი, უფრო-კი მწუხარედ იყო. გადიოდა დღე, კვირა, თვე, მაგრამ ნინო ისევ ისე მოწყენილი იყო. იმის სული და გული შინისაკენ მიჰქროდა, და, გურიაში, სადაც აგებული იყო წმიდა ტაძარნი და განისვენებდნენ მისთა წინაპართა გვამნი, საცა იმის მოტაცების შემდეგ დაბრმავდა ბევრის ტირილის გამო იმისი საბრალო დედა. და აი, ამიტომ არ ასიამოვნებდა დღეს იბრაჰიმ-ბეგს: არც სულთანის სიგელი, არც ყვავილები და ნაკადულნი, და არც ბულბულის სტვენა-გალობა, რომელიც ბაღში საამურად გაისმოდა...

III

აგერ იბრაჰიმ-ბეგის სასახლეში, ერთი მოძრაობა და ფაცა-ფუცი შეიქნა: მოსამსახურენი ჰტვირთავენ ჯორებს, ჰკაზმავენ ცხენებს, აწყობენ ურემზედ სალაშქრო კარვებს და სხვას; მცირე გუნდი შეიარაღებული ჯარისა მზად არის გამოსასვლელად. ჯარს შუა ბეგი ჩამდგარა, გვერდით უდგას სახეზე ჩადრ-ჩამოფარებული ნინო, რომელიც მთის ფეხ-მაგარ ცხენზედ არის ამხედრებული.

ქარავანი დაიძრა. საითკენ? გურიისაკენ. რას ჰნიშნავს ეს ამბავი? გურიას უნდათ თავს დაესხნენ? მერე ნინო რაღა საჭიროა?...

ბეგი არაფერს არ ამბობს და სხვებმა-კი არ იციან ამ მოგზაურობის მიზეზი. მოვიდნენ სწორედ გურიის საზღვარზე და დაბანაკდნენ ერთს ქედზედ. იქვე ახლოს მშვენივრად ამწვანებულს ველზედ, გველსავით მიიკლაკნება პატარა მდინარე და იმის ზევით, მაღალს მთაზე, მოსჩანს წმინდა სავანე—ჯუმათი.

ნუ თუ ბეგს უნდა, იერიშით აიღოს გურულების წმიდათა-წმიდა?

აგერ შორიდგან კიდეც ეტყობა ხალხს არეულობა: მღევარნი, რაც ძალი და ღონე აქვთ, მოაჭენებენ ცხენებს ქედისაკენ; აი ქვევითი და ცხენოსანი გუნდი ჯარისა კიდეც შეცვივდნენ მონასტრის გალავანში...

ტყუილი ჩოჩქოლია: ბეგმა კაცი გაჰგზავნა და შეუთვალა, რომ საბრძოლველად არ მოვსულვარ გურიაში, თუ თქვენვე არ დამეხსნებით თავსაო; ჩემი საკუთარი საქმე მაქვს და იმან მომიყვანაო.

ოჰ, მადლობა ღმერთს! ან-კი რა დროს ომი იყო, ის-ის იყო აღდგომის ღამე დგებოდა.

დაღამდა კიდეც.

ცის მანათობელ კრებულთა შორის ამოგორდა ოქროსფერი მთვარეც. სიჩუმეა. ჰაერი უძრავად არის, ფოთოლიც-კი არა შრიალებს... მხოლოდ შორი-ახლო მონასტრიდგან მოისმის სმენის დამატკბობელი გალობა. გაიღო კარები და გამოიელვა ასობით ანთებულმა სანთელმა. დაიწყო ლიტანია. აგერ, მოისმა მაღალის ხმით გამამხიარულებელი გალობა „ქრისტე აღსდგაო“...

ბეგი თავისის ტყვე-ქალით კარავიდგან ყურს უგდებს ამ გალობას.

ანთებულმა სანთლებმა თან-და-თან ჩაქრობა დაიწყო; გალობაც შესწყდა; აღმოსავლეთისაკენ თითქმის მოიწმინდა ბურუსით მოცული ცა. მაგრამ ნინოს სახეზედ ნიაღვარსავით ჩამოსდის ჩუმი ცრემლები.

— რა გატირებს, ჩემო სულის მზეო? ეუბნება ბეგი: ვიცოდი, რომ დღევანდელი დღე დიდად სადღესასწაულო დღე იყო ყოველ ქრისტიანისათვის და იმიტომ მოგიყვანე. შენთვის უფრო სასიამოვნო არ უნდა იყოს დედასთან ახლოს მოსვლა?..

ტყვე-ქალმა პასუხი ვეღარ მოახერხა: ყელში ნერწყვი ებჯინებოდა და თვალები ცრემლითა ჰქონდა სავსე.

ბეგმა განაგრძო:

— ნუ გეშინიან! შუა გზაზედ მე დგომა არ მიყვარს. შენის სამშობლოს საზღვარზედ მოგიყვანე, ჩემო სიცოცხლევ, იმიტომ რომ აგისრულო გულის წადილი და ამიტომ მთხოვე, რაც გინდა! გესმის, თუ არა? მთხოვე რაც გსურს! განუმეორა ათრთოლებულის ხმით.

— გაისტუმრე სამშობლოში... ტყვე ქრისტიანენი, უთხრა ნინომ.

— სულ ყველანი... გამოუკლებ-

ვარი საათი და გაისმა საზარელი შუილი... ჯერ არსად არ სჩანდა შუილის მიზეზი, მაგრამ ყველა კარგადა ჰგრძნობდა, რომ კარგს არას მოასწავებდა. „სეტყვა იქნება, სეტყვაო". გაიძახოდა ხალხი და სახე მიმკრთალებულნი გულის-ძგერით ელოდნენ; კიდევ რამოდენიმე წამი და აგერ ჩვენ წინ გაისმა საშინელი რაკუნი. სეტყვის კაკალი იქამდის დიდი გამოდგა, რომ დამსხვრეულის კაკალის ნაწილები სხვილს თხილს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ეს ერთი, მაგრამ აგერ მეორე, მესამე და მოჰყვა მთელი ხორა სეტყვისა. ხის ტოტები (კარგა მოზრდილებიც) ველარ უძლებდა და უწყალოდ ცვიოდა ძირს, ხილი სულ ერთიანად დააყრევინა; დამფრთხალი ფრინველები ამაოდ დაეძებდნენ თავშესაფარს ხის ტოტებში, და სეტყვისაგან დაშავებულნი საცოდავად დასტრიალებდნენ ხის ხშირს ტოტებში. სეტყვა, თუმცა ხშირი არ იყო, მაინც საკმაოდ დააზიანა ხუთის წამის განმავლობაში ხეხილები, ვენახები, ბოსტნეულობა და მოსამკალი პური.

იმავე დღეს კავთისხეველებს გამოჰქონდათ ვენახებიდგან სეტყვისაგან ჩამოყრევინებული ვაშლი, ყურძნის მტევნები ტომრებით, და ერთი მეორეს აჩვენებდნენ ნაზარალევს, კიტრი, გოგრა ზოგი შუაზე დაპობილი-და იყო, ზოგიც სრულიად დაჩეჩქვილიყო. მოხუცი გლეხები ამბობენ, რომ ჯერ არსად მოვსწრებივართ ამისთანა მსხვილს სეტყვასაო. სიდიდით სეტყვა კვერცხის ოდენა იყო. სეტყვამ გადმოიარა ახალქალაქიდგან კავთისხევზე და მერე კასპისაკენ ჰქნა პირი, ე. ი. აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისკენ. უფრო ძალიან მოხვდა სეტყვა კავთის-ხევის ქვეით უბნებს. სამწუხაროა სწორედ!

პურს არა უჭირს-რა, გამოსავალს კარგს უქებენ. მაგრამ, როგორც გორის მაზრის, ყველა სოფელში, ისე კავთისხევშიაც ძალიან უჭირებს საქმეს თურქული. ყველამ კარგად იცის, თუ რამდენად საჭიროა ამ დროს გლეხისთვის საქონელი და მაშასადამე, ადვილად წარმოიდგენს, რა გაჭირვებაში არიან საცოდავი გლეხები. რამდენიმე მაგალითის მნახველი თითონ მე გზად გამვლელი ვარ, რომ გლეხები ზურგით ეზიდებოდნენ სახლში ძნას უსაქონლობის გამო. ნეტავ რატომ არასა ჰლონებენ ამ სამწუხარო მოვლენის ასაცილებლად, ვინც-კი მოვალეა, რომ ყურადღებას აქცევდეს გლეხთა გაჭირვებულს ცხოვრებას?..

სოფელს ჰყავს ნასწავლი მამასახლისი, მოიძებნებიან შეგნებულნიც, და სოფელიც დიდია... ნუ თუ არ შეეძლოთ ბეითალის მოწვევა?!

ეტყობა, ყველაფერი საიმედო ჩვენში მხოლოდ სახელით არის საჭირო და არა საქმით. მიურბით საქმეს, როგორც გადამდებს და საშიშარს სენს... სიტყვა და საქმე ნუთუ ვერ შეერთდება, ნუთუ ვერ მოთავსდება ერთად ჩვენს სოფლებში?

საკვირველ არიან საქმენი თქვენნი სოფლის და გლეხთა ცხოვრების ძაფთა ხელში მპყრელნო!!

მაგრამ რას ბრძანებთ, ყველას ქეიფი არა სჯობიან? მერე როგორი ქეიფი? არღნებზე (უკაცრავად-კი და ამის მიმდევარნი თურმე პირველ სოფლის მეთაურნიც არიან ხოლმე, ე. ი. ისინი, ვისაც დღეს შეგვიძლიან სოფლის ინტელიგენტ ვუწოდოთ)!.. აი საქმე და სიტყვა სად და რა შემთხვევაშია მადლ-მოსილი. მშვენიერი მაგალითია განა გლეხებისათვის, კარგი გულ-შემატკავრობაა, არა?!.

X. X.

**სოფ. ქვემო-მაჩხაანი.** 17 ივლისს წარმოდგენა იყო სათეატრო-სამკითხველო დარბაზის ასაშენებელ ფონდისათვის. მდაბიო ხალხი უფასოდ იყო მოწვეული თეატრში და მრავალადაც დაესწრო. დანარჩენებზედ ბილეთები იაფად ისყიდებოდა. ხარჯს გარდა წმინდა შემოსავალი დარჩა 16 მ. და 23 კ., რომელიც მიემატა ხსენებულ დარბაზისათვის შემდგარს 78 მანათს და 91 კ. წარმოადგინეს „ხანუმა" ა. ცაგარლისა, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდგან" ი. ჭავჭავაძისა და წაიკითხეს სცენები და ლექსები. მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში: ქ-ნებმა ო. ყიასაშვილისამ მ. მენთესაშვილისამ, ო. მენთესაშვილისამ, ს. გომელაურისამ, ს. მენთესაშვილისამ; ბ—ნებმა დ. ნ—ძემ, ი. გომელაურმა, ი. მენთეშაშვილმა, ა. გომელაურმა და ა. ნადირაძემ. მადლობის ღირსნი არიან ყველა ესენი, რადგანაც ყოველ-წელიწადს ჰმართვენ წამოდგენებს მდაბიო ხალხის უფასოდ მოსაწვევად, სათეატრო-სამკითხველო დარბაზის განსახორციელებლად და ზოგიერთ ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. მადლობის ღირსია აგრეთვე ბ-ნი დ. ჯავაშვილი სუფლიორობისა და სხვაფრივათაც თანაგრძობის აღმოჩენისათვის.

„რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ" შარშანაც წარმოადგინეს ცოტა-რამ გამოკლება-დამატებით და, რადგანაც მაყურებელთა უმრავლესობას ძალიან მოეწონა, წელსაც გაიმეორეს და კარგაც ჩაიარა. კაკოს თამაშობდა დ. ნ—ძე და ზაქროს ი. გომელაური. წარმოდგენა ცას ქვეშ იყო, უზარ-მაზარ მცენარე-ხეებით შემოციხულს ამფითეატრისებურად მოყვანილს ფერდობზედ. შეთოფიარაღებულს კაკოს ტყეში ხის ძირ ქვეშ სძინავს „კურდღელის ძილით", მოისმის შორიდამ მეურმის ჰოროველა-ღუღუნი, შოლტის ტყლაშუნი და ლაპარაკი, მერე ცხენის ჭიხვინი—ამ დროს გველ-ნაკბენივით წამოვარდება თოფ-მომარჯვებული კაკო და გულ-გამეხებით შესძახებს თავისკენ მომავალს მხედარს: „შესდექ! მითხარი ვინა ხარ შენა" და სხვანი, ეპიზოდს შემდეგი დამატება აქვს ბოლოში:

კ ა კ ო

დალოცოს მისი მუშუ გამჩენმა,
ვისაც შენთვის რძე უწოვებია,
ნეტავ იმ მამას, ვისთვისაც უფალს
შენსავით გმირი ურგუნებია.
შენმა სიტყვებმა და მწუხარებამ
გული ზღვასავით ამიმღვრევარა
და შენი თავი ქრისტე-ღმერთივით
მამაღებინა და შემაყვარა.
ოჰ, ღმერთო, ღმერთო, რა ჭირს არ
ითმენს
დღეს გლეხ-კაცობა ბატონ ყმობისგან,
პირში სული ხომ აღარვის უდგა
გაჭირ ჩარჩების მუკლუფაობისგან!..
თვალ-წინ მიდგანან დაჩაგრულები,
იმათის ცოდვით მიკვდება გული,
სისხლის ცრემლი მდის, ძმაო, დღე დ ღამ,
ჰგმინავს და ჰშფოთავს ტანჯული სული.
შხამად შეგვერგოს, ცეცხლად გაგვიხდეს
ჩვენგან ნაწოვნი მუძუ დედისა,
თუ არ ვებრძოლოთ ხალხის მყვლეფავებს
და გვეშინოდეს შავის ბედისა!..

ზ ა ქ რ ო

ამინ!..

კ ა კ ო

როდემდის ვიყოთ დაჩაგრულები
და ხალხის ტანჯვით გამწარებული,
მოკვდეთ ჰაკაცნი ჰაკაცურადა,
მომმის ვაებით გულ-ანთებული.
დე ნუღა გვნახოს დედა-მშობელმა,
ნურც დაგვტიროდეს ცოლი ქალამ გ (?),
ზეცა დაგვადგნს, ძმაო, ცრემლებსა
მტრისგან დაჭრილსა გულის ჭრილზე;
დე გაქრეს ველად ჩვენი ძვალ-მანი,
ყვავ-ყორანთაგან სისხლში ნაქელი,
იქ, სამოთხეში, სული კიხარებთ,
აქ არ მოკვდება ჩვენი სახელი!
შხამად შეგვერგოს, ცეცხლად გაგვიხდეს
ჩვენგან ნაწოვნი მუძუ დედისა,
თუ არ ვეომოთ უსამართლობას
და გვეშინოდეს შავის ბედისა!..

ზაქრო (ზეცისაკენ თვალების-აპყრობით) ამინ! ოჰ, ღმერთო! როდის მოვჰხედავ დაჩაგრულ ხალხს მოწყალის თვალით.

კ ა კ ო

მომწონხარ, ძმაო, ზოგ-ზოგ გაციეთ
არა ჰყოფილხარ ხეპრე და ცეტი,
წამო, წავიდეთ, ჩვენსა ძმობასა
ვეღარვინ გაჰყრის, სიკვდილის მეტი.
(ზაქროს მხარზე ხელს გადასდებს და მიდიან).

მ.

**საჩინო,** 14 ივლისი. აგერ მესამე კვირაა, რაც ციდგან არამც თუ წვიმა, ნამიც არ გვიხილავს. დღით აუტანელი სიცხე, ღამით მოღრუბლული, უნამო ცა ვერ არის კარგი ხელის შემწყობი ჭირნახულისათვის. თუ ამ ერთს კვირაში არ გვეღირსა წვიმა, ნაადრ ყანებს (სიმიდისას) არა სანატრელი დღე დაადგება. აქ ორ რიგად სთესენ სიმინდს; «ეზოის» ყანებს მარტში, საადროდ რომელიც ეხლა დატაროებულია და ერთობ უჭირს უწვიმრობით და „საგვიანო" ყანებს, რიონის ჭალებზედ, რომელსაც ჯერ ვერას ავნებს უწვიმობა. ვენახებს პირველად კარგი თვალი შეუვიდა, დიდ ნუგეშს იძლეოდა, ეხლა-კი ის ნუგეში გაგვიმეოთხედდა. გოლვამ იმასაც თავისი დაღი დაასვა. ფილოქსერა აქეთაც შემოგვეპარა. დარწმუნებით-კი არ ვიცით, ფილოქსერაა თუ სხვა. მილდიუ ხომ არის და არის და ფილოქსერაზედ ნაკლებ ზარალს არ იძლევა, რადგან ხალხმა ვენახებს აღარ უწამლა მილდიუს წინააღმდეგ. ბოროტ-ენებს დაურწმუნებია ხალხი, რომ, მილდიუს წინააღმდეგ წამლობამ ვენახები გადაახმოო, ხალხიც დარწმუნებულა და აღარ სწამლობს. მაგალითი ზემო იმერეთის ვენახებიდგან მოჰყავთ. ჩვენზედ წინ იქ დაუწყეს ვენახებს წამლობა მილდიუს, მაგრამ შემდეგ ფილოქსერამ მოიდგა ფეხი და ვენახები გადაახმო, ჩვენშიაც ის დღე დაადგება ვენახებს, თუ ვუწამლეთო. ხალხი დარწმუნებულია, რომ თითქოს წამლობა ახმობდეს ვენახებს.

ამ აუტნელმა სიცხეებმა ხალხის ხასიათზედაც იქონია გავლენა. უთანხმოება, აყალ-მაყალი და ჩხუბი ეხლა უფრო ხშირია, ვიდრე წინად ღუ-დდგა ჟამი სოფლის მოხელეთა ამორჩევისა და შეიქმნა ალიაქოთი სოფლებში. ერთი დასი მეორეს ებრძვის, მეორე—მესამეს, მესამე—მეოთხეს და ასე თანდათან ჰმატულობს ხალხში უთანხმოება და ჩხუბიც: ყველანი „სამამასახლისო კათედრისაკენ" მიილტვიან მართალისა თუ უმართლო გზით და ხრიკით! პურ-ღვინო უხვად... ყოველ დასში ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ თანვიათი მსხვერპლი უფრო „პატივნაცემი" და კმაყოფილები ჰყონ და მიიკედლონ.

ეს „მამასახლისობაა" თავი და თავი მიზეზი ალიაქოთისა, დას-დასობისა, პურ-ღვინის უხვობისა. თორემ სხვა, მოხელეობისათვის პირ-აქეთ ქრთამი რომ მისცე, არ დადგება თითონვე ქრთამს მოგცემს, ოღონდ ნუ დააყენებ! ბევრი გაიძვერა კაცები სარგებლობენ ამ შემთხვევით! ესენი უფრო და უფრო ამღვრევენ წყალს, რომ მღვრიე წყალში მეტი თევზი დაიჭირონ! ამას წინად მამასახლისებს ბრძანება მოუვიდათ, ხალხს გამოუცხადეთ, რომ სოფლის მოხელეების კანდიდატები ალირჩიონ გულ-დასმით და მოფიქრებით, რომ, როდესაც აქედგან არჩევანზედ დასასწრებლად კანდიდატი მოვა, მზად იყოლიონ. ეს ბრძანება წარსულ კვირას, 10 ივლისს, შეასრულა რამდენიმე მამასახლისმა. მოუწოდეს ხალხს და გამოუცხადეს. შეიქნა ხალხში ყვირილი და შემდეგ ამას მოჰყვა ჩხუბი და ცემა-ტყეპა!?. ვანის საზოგადოების ყრილობაზედ ბოქაულის თანაშემწე რომ არ დასწრებოდა შემთხვევით, დიდი უბედურება მოხდებოდა. თავ-დასისხლიანებული მაინც ბევრი წავიდა. ს. უხუთის საზოგადო ყრილობაზედ-კი უფრო უკეთ მოიქცნენ. ახალმა სამამასახლისომ, ძველს, ჯერ კიდევ მამასახლისს, სცემა!

თან-ნარელი

ლად?

— ჩემს... ჩემს გარდა, ლუღლუღით მიუგო ნინომ.

— როგორ! განა შენ-კი არ გინდა სამშობლოში დაბრუნება?..

— არა. ჩემი სარწმუნოება ნებას არ მაძლევს, რომ სხვის უბედურებით ჩემთვის ბედნიერება მოვიპოვო. თუ გიყვარვარ, განათავისუფლე ტყვეები.

— მერე, შენ ხომ იტანჯები შენ! არ... გიყვარვარ!

— არ მიყვარდი! თავის ჩაღუნვითა და თვალებ გასტერებით უპასუხა დაღვრემილმა ნინომ.

. . . . . . . . . . . . . . .

ამომავალი ცისკარი ნიშანი შეიქნა ახალგაზდა ცოლ-ქმართა და, ამათის წყალობით, კიდევ სხვათა ბევრთა ბედნიერებისა.

IV

რა მოხდა შემდეგ? მიიღო თუ არა იბრაჰიმ-ბეგმა თავის საყვარელ ცოლის სარწმუნოება? გურულები გვარწმუნებენ, მიიღოვო და კიდევაც განისვენებს ჯუმათის სავანეშიო; ხოლო მაჰმადიანთა თვის-ტომნი აჭარელები ამბობენ, რომ იგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა მექაშიო...

ეს ერთი აზრიცა და მეორეც ეთანხმება ერთმანეთს, მით უფრო, რომ, რაც ხანს განაგებდა იბრაჰიმ-ბეგი აჭარას, ამ ხნის განმავლობაში იქ არც უბრალოდ დაუსჯიათ კაცი, არც გაუძარცვავთ ვინმე და არც მეზობელს ერს დასცემიან თავს, ამბობენ ისინი. ღმერთმა აკურთხა ეს მხარე თავისი წყალობა მიიღო და ღომი სიმინდი და ხილი უხვად მოვიდაო...

ნინო ჰკურნავდა ავადმყოფებს, ჰზრდიდა ობლებს და ჰქადაგებდა ღმერთს ისეთის გატაცებით, რომ ყოველი მისი სიტყვა ყველა სარწმუნოების ხალხის ყურს ატყვევებდა და ჰხიბლავდა.

მართალია, ახალგაზდობამ-კი ცოტა მოიწყინა, უომრობისა და ცარცვა-გლეჯის მოსპობის გამო უსაქმურად იყვნენ, მაგრამ ეს დიდს უბედურებას არ შეადგენდა.

სულთანმაც მოიწყინა უომრად და ამიტომ შეუთვალა იბრაჰიმ-ბეგს, „რატომ არ ეომები ურწმუნოებსაო"? იბრაჰიმ-ბეგმა მისწერა: „არავინ მეგულება „ურწმუნო და ორგული", გარდა სულთანის ვეზირებისა, რომელნიც ატყუებენ ხალხსა და ფადიშაჰსაო". ამის გამო დიდი ვეზირი ძალიან გასწყრა და ემუქრებოდა იბრაჰიმ-ბეგს, მაგრამ აჭარელებმა შეუთვალეს: «აბა ერთი მობრძანდით აქაო»! ამით დამშვიდნენ ყველანი.

როგორც ვიცით, ნინო ქრისტიანულის წესით დაიმარხა და სამხრეთის მხარეს იმის საფლავზედ ჯვარი ამართული იყო... ხალხის გარდმოცემა ამბობს, რომ ნინომ ქმარზედ დიდხანს იცოცხლაო: იბრაჰიმ-ბეგი თითქმის სრულიად დავიწყებულია და სახელი „წმინდა ქალისა"-კი აქამომდე პატივცემულია ხალხის მიერ. მხოლოდ ხალხი შეცდომით ერთი-ერთმანეთში ჰრევს ზემოხსენებულ ნინოსა, თამარ-დედოფალსა და წმიდა ნინოს, ქართველთა განმანათლებელს.

აჭარაში დღემდე დარჩენილი ნიშანი: რომელ ოჯახშიაც უნდა შეხვიდეთ, ყველგან ჰნახავთ ან ბუხარზედ, ან კარებზედ ნახშირით, ან წითელის საღებავით დასმულს ჯვარს. რომ ჰკითხოთ, საიდგან გავრცელდა ეს სიმბოლო მაჰმადიანთა შორისაო; აჭარელი ჯერ ეცდება ხუმრობაში ჩაატაროს და გეტყვის: „ბავშვებმა იცელქესო", მაგრამ მერე გამოტყდება, რომ ამ გაზაფხულზედ ჩემი ცოლი მთის ღელე-ყრუში იყო «წმიდა ქალის» სასაფლაოზედ სალოცავად და იმის სახსოვრად არის ჯვარი დასმულიო... ყადი-კი, სოფელ ქედას, სასულიერო მსაჯული, თითქმის ასის წლის კიდევ მხნე-მოხუცი, წმიდა ცხოვრებისა და ამასთანავე დიდის სიტყვა-პასუხის კაცი, ამბობს ხოლმე:

— იმისთანა ნინო რომ კიდევ გაჩნდეს ჩვენ შორის, მეტი გზა აღარ მექნებოდა, უნდა ამეკრიბა ჩემი ბარგი-ბარხანა და წავსულიყავ სტამბოლში, მით უფრო, რომ მე ეხლა მოხუცებული ვარ და იმის ცოლად შერთვა არ შემეძლოო... მეჩეთის ძალით საყდრად გადაქცევა, ან საყდრისა—მეჩეთად, მოუფიქრებელი საქციელია და უგუნურის კაცის საქმეა. ის ამით წვალებისა და გოდების მეტს ვერაფერს გახდება. აი კეთილით-კი ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს! ოდესმე ერნი და ერის მმართველნი ამ აზრს შეიგნებენ, ამ ჭეშმარიტებით განიმსჭვალებიან და საფიქრებელია, რომ მაშინ ყველა ერს ერთი სარწმუნოება ჰქონდეს. არ ვიცი-კი, სახელდობრ რომელი სარწმუნოება, მაგრამ, რასაკვირველია, საუკეთესო სარწმუნოება იქნებაო.

ლ. ხელაძე

# რუსეთი

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან გადაწყვეტილია დამთავრებულ იქმნას მომავალ სახელმწიფო საბჭოს სესიისათვის შემუშავება იმ კანონ-პროექტისა, რომელიც შეეხება სამამულო გარდასახადის შემოკლებას იმ შემთხვევაში, თუ მამული დაზარალებულ იქმნა წვიმა-სეტყვისა და ცეცხლისაგან და სხ. სამამულო გარდასახადი შემცირებულ იქმნება, თუ მამული დაზარალდა სეტყვისა, წყალდიდობისა და ცეცხლისაგან აგრეთვე თუ ტყე ცეცხლით გადიწვა. დაზარალებულთ შეღავათი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემათ, თუ შემოსავალი დაიკლებს ერთ მერვედს ნაწილს მაინც მუდმივ შემოსავლისას.

—

რუსეთის ერთის საპატიმროს უფროსთაგანს აღუძრავს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ პატიმართ ნება მიეცეთ სალიტერატურო შრომისა და ამ შრომის დაბეჭდვისა რომელსამე ჟურნალ-გაზეთშიო. საპატიმროთა მთავარ-სამართველოს გაზეთი ამბობს, რომ ასეთი შუამდგომლობა, უეჭველია არ იქნება შეწყნარებული, რადგან საპატიმროთა წესდების მე-232 მუხ. გარკვევით აღნიშნულია, რომ პატიმართ მხოლოდ იმ ქაღალდების წერა შეუძლიანთ, რომელიც იმათ კერძო ან ქონების საქმეს შეეხება. თუ ვინიცობაა ნება დაერთოთ პატიმართ წერისა, რასაკვირველია, შეუძლიანთ სალიტერატურო თხზულებაც სწერონ, მაგრამ მისი გაგზავნა-კი არ შეუძლიანთ იმ დრომდე, ვიდრე განთავისუფლებულნი არ იქმნებიან.

—

უმართებულესი სენატის მიერ განმარტებულ იქმნა, რომ იმ ქალებს, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში ირიცხებიან ვისლის ახლო-მახლო გუბერნიებში, შეუძლიანთ ისარგებლონ ყოველსავე იმ განსაკუთრებულის უფლებით და უპირატესობით, რომელიც მინიჭებული აქვთ პოლშაში სამსახურში მყოფ რუსებსაო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

პარიჟის გაზეთები მოგვითხრობენ ამბავს ერთის შესანიშნავის კაცის მისგლისას, რომელიც გვარად ოლეტა თურმე, და გვიანაში ორ ხელობას ასრულებს: გველებზედ ჰნადირობს და მკურნალობს კიდეც. ეს კაცი იმიტომ-კი არ ჰნადირობს გველებზედ რომ გაწყვიტოს, არამედ გაწვრთნას გველები და მოიხმაროს, როგორც წამალი გველის ნაკბენისა.

ეს მკურნალი თავის გაწვრთნილ გველებს, გველის შხამის ასაცრელად ჰხმარობს. თითოეული ამ ქვემძრომთაგანი ერთსა და იმავე დროს ნესტარიც არის და შხამის ჭურჭელიც.

ბ-ნი ოლეტა ასე სწამლობს თურმე თავის ავადმყოფებს: ჯერ აკბენინებს გველს, მერე თავის გაკეთებულს მალამოს ადებს, 3—4 დღე ავადმყოფი ციებით იტანჯება, მაგრამ შემდეგში სამუდამოდ უზრუნველ-ყოფილია გველის კბენისაგან: რომელ ტყეშიაც მოინდომებს, თუნდა ის ტყე უსაშინელესის შხამიან გველებით იყოს სავსე, შეუძლიან თავისუფლად შევიდეს, რადგან აცრილია და გველის შხამი კლდარას ავნებს. გვიანას მცხოვრებთა შორის ოლეტა დიდად პატივცემულია და გრძნეულის სახელი აქვს გავარდნილი. პარიჟში იმიტომ მისულა, რომ მკურნალის დიპლომი მიიღოს.

## უცნაური გამართლება თავისა

(ივანე გაზმარაროვის პასუხად)

,,ივერიის" მე-144 №-ში დაბეჭდილს, ჩემ მიერ გამოგზავნილს ამბავს პიასიცკის შესახებ, გაზმარაროვი უარჰყოფს ,,ივერიის" მე-151 №-ში ამ ამბავს, რომლის სინამდვილე, ყველამ თუ არა, ბორჯომში მყოფთა უმეტესმა ნაწილმა იცის.

ჩემის სიტყვების საფუძვლად მომყავს ნალაპარაკევი ქ-ნის პიასიცკისა, რომელსაც უფრო დაეჯერება, ვიდრე მიკიტანს გაზმარაროვს.

იმ დროს როცა გარდაიცვალა და გაასვენეს ბ-ნი პიასიცკი, ბორჯომში არ ვიყავიო, სწერს იგი. ეს ტყუილია. მეც და სხვებმაც ის იმ დღეს ბორჯომში ვნახეთ. ამასვე დაგვემოწმება ქ-ნი პიასიცკისა.

გარდაცვალებულის ცოლს ორი მსახური-კი არა ჰყოლია, როგორც გაზმარაროვი ამბობს, კაცი და ქალი, არამედ ერთი ვიღაც სომეხი, ბებერი, ასე 70 წ. ქალი, რომელიც მიეგვარა გაზმარაროვს, როდესაც მკურნალს ეთქვა უიმედობა ავადმყოფისა. მეორე მოსამსახურედ სთვლის ვიღაც მუშა სომეხს, რომელიც უბედურების შემთხვევის შემდეგ მისულა და, ქ-ნ პიასიცკისას სანთლების და სხვა რამეების სასყიდლად გაუგზავნია და აღარ მოსულა.

კუბოს შესაკვრელად გაუგზავნია მოსამსახურე, მაგრამ იმ ღამისთვის ვერ მოუსწრია დურგალს მორთვა და რაში უნდა ჩაესვენებინათ. დურგალი მეორე დილას ადრე გამოსულა და კუბო აღარ დახვედრია.

ცხედრის ღამე გასვენება არავის მდგმურთაგანს არ უთხოვნია (ეს გაზმარაროვის გამოგონილია); არამედ თვით გაზმარაროვი დაჟინებით ეუბნებოდა თურმე: ,,ესე ღამის თორმეტი საათი იქმნებოდაო". თქვენ ნუ სწუხართ, თქვენ თქვენის თავის ზრუნვა გასწიეთ, დანარჩენი მე თითონ ვიციო. გვამი სუნს დაიჭერს, მდგმურები შეიტყობენ გარდაცვალებას, დაფრთხებიან და ვიზარალებო". მაგრამ ქ-ნი პიასიცკისა არ დასთანხმებულიყო, არ გავასვენებ ხვალ დილამდე უმღვდლოდაო.

რომელი მოსამსახურე-და მოუყრიდა მუშებს თავს, ისიც ღამე, როდესაც მოხუცებული მოსამსახურე დედაკაცი წასულა უბედურების შემდეგვე. თუ ნება მისცა ქ-ნმა პიასიცკისამ ცხედრის გასვენებისა, მაშ რაღად სჩივის. ცხედარი იმ დროს აუტანია გაზმარაროვს ეკკლესიის ეზოში, რომელსაც დილა-კი არ ეწოდება, ღამე ჰქვიან.

მე და ჩემი სასტუმრო რა შუაში ვართო, კითხულობს იგი. გაზმარაროვი და იმისი სასტუმრო იმ შუაში არიან, რომ ბ-ნი პიასიცკი გარდაიცვალა სასტუმროში და გაზმარაროვმა მოპარვით გაიტანა.

ქ ნმა პიასიცკისამ, სხვათა შორის, სთქვა: მოხუცებული ქალი, რუსულ ენის უცოდინარი, ჩემ-და უნებურად მოიყვანა გაზმარაროვმა. როდესაც გარდაიცვალა ჩემი ქმარი, ვთხოვე, სასტუმროში მსახურთ გამგზავნოდნენ ეკკლესიაში სანთლების მოსატანად და მღვდლისთვის მოსაყვანად, მაგრამ არ გამეგზავნენ. ეხლა არ იქმნება, დღეა, გაიგებენ, რომ აქ ვიღაც გარდაცვლილაო. დიდის ვედრებისა და ხვეწნის შემდეგ ძლივს მოვატანინე წმინდა სანთლები მხოლოდ ღამის 11 საათზედ. როდესაც შეველ მეორე ოთახში, ჩემის ქმრის გვამი აღარ დამხვდა. ათას ნაირმა ფიქრმა გამიარა თავში. ჩემს ტირილზედ მსახური შემოვიდა, იმასა ვკითხე და მიპასუხა: რა გაყვირებს! თქვენი ცხედარი მე არ წამიღია, არ მომიპარავს. შემდეგ გაზმარაროვიც გამოცხადდა და მიპასუხა: ეკკლესიის ეზოში ავატანინე, აქ სუნს დაიჭერდაო. ჩვენ სომხებს წესად გვაქვს ცხედარი სახლიდგან ღამე უნდა გავასვენოთო და სხვა.

როდესაც ბოქაულს ეკითხა, რა ნება გქონდა, ცხედარი რომ გაასვენეთო, გაზმარაროვს ეპასუხნა: მე მეგონა, რომ თქვენც დამიმადლებდითო. თავის გასამართლებლად სხვებსაც ამას ეუბნებოდა.

ვსთქვათ, არა მცოდნე ამ ამბისა, დაარწმუნოს თავისის სიცრუით სავსე წერილით, რომელსაც გაზმარაროვს ვითომ ,,სიმართლის აღსადგენად დაუწერია, მაგრამ ბორჯომელნი, ამ ამბის მცოდნენი, როგორღა უნდა დაგვარწმუნოს?!.

ვლადიმირ ყიფიანი

დ. ბორჯომი.

# დეპეშა

23 ივლისი

**პეტერბურგი.** გუშინ პეტერგოფს მოვიდა პრინცესა უელსისა ორის ქალიშვილითურთ. ახალ პეტერგოფის რკინის გზის სადგურზედ დიდებულს სტუმარს მიეგებნენ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი, მათნი უმაღლესობანი, ამალა და აგრეთვე ინგლისის ელჩი და იმავე საელჩოს მოხელენი.

**შანხაი.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ 27 და 28 ივლისის ბრძოლაში, რომელიც იაპონთან მოხდა, იაპონიელები უკუ-ქცეულ იქმნენ; 2,000-ზედ მეტი ჯარის-კაცი დაექსაქსათ. ჩინეთის ჯარი, 20,000 კაცისაგან შემდგარი მანჯურიიდგან კორეს საზღვარზედ გადავიდა.

**ბერლინი.** გერმანიის სამს სამხედრო ხომალდს, ამერიკის დასავლეთ ნაპირას მყოფს, ბრძანება მიეცათ აღმოსავლეთ აზიაში წავიდნენ, სადაც ბრძოლაა, რათა დაიცვან გერმანიის ქვეშევრდომნი. იაპონიის ხმელეთის ჯარი დაეტაკა ჩინეთისას ოზანთან და დამარცხდა.

**ლიონი.** კაზერიოს სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტა.


# განცხადებანი

## ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.





ვერცხლისა



ოქროსი


ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

**ტფილისში, იარმუკაზედ.**

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ზორდოსვრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-მედიანკით, სადაც ობოლთა მზარველი სასამართლო იყო; და დიგის ფერად აგზალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრომ საქმისას, თუ ლიტო-ტიპოგრაფიისას,

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყოველ გვარას ხელოსნებსაც გუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

ალალო თუთაევი



# საკომერციო კურსები

## ქალებისა და ვაჟებისათვის

### წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა' 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და სალამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ხოჯთიანის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—7)



# ლექსები

თავ. ვახტანგ ორბელიანისა

სრული გამოცემა მის ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, სასარგებლოდ ქართველი ქალების მომავალის სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა. ფასი სქელ ქაღალდზედ მანეთი, ვინც ათობით იყიდის—ოთხი აბაზი, მოთხელო ქაღალდზედ ფასი სამი აბაზი, ათობით მყიდველი მიიღებს ათ შაურად წიგნსა. ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(10—1420—8)